საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/24 **25/09/2023**

რეკომენდაცია კლინიკური პრაქტიკის ეროვნულ რეკომენდაციაზე

გაეროს მოსახლეების ფონდის (UNFPA) მიერ წარმოდგენილია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია „**ჯანდაცვის მომსახურებების გაწევა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობაზე დარგთშორისი რეაგირებისას**“ რეცენზირებისათვის.

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია მომზადებულია შემდეგი დოკუმენტების მიხედვით: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, გაეროს მოსახლეობის ფონდის, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების, ევროსაბჭოს სტამბოლის კონვენციის და ევროპული ქსელის – ქალები ძალადობის წინააღმდეგ – საინფორმაციო ცენტრის რესურსებზე დაყრდნობით, ასევე, კლინიკური პრაქტიკის სახელმწიფო სტანდარტის „კრიზისულ/გადაუდებელ სიტუაციებში გაუპატიურების მსხვერპლთა კლინიკური მართვა“ (დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 17 ივლისის №01-351/ო ბრძანებით), შემუშავებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2004 წელს გამოცემული სახელმძღვანელო რეკომენდაციების მიხედვით (“Clinical management of rape survivors: developing protocols for use with refugees and internally displaced persons -- Revised ed”).

პროტოკოლი ადაპტირდა პროექტის „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე“ ფარგლებში სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) პარტნიორობით, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით (გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობისათვის“).

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მიერ, გაეროს ერთობლივი პროგრამის „სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შესაძლებელი გახდა პროტოკოლში შშმ ქალთა უფლებებისა და საჭიროებების ასახვა.

დოკუმენტში ინტეგრირებულია რეკომენდაციები მოწყვლადი ჯგუფების, ლგბტქ თემის წარმომადგენელი ქალების, შშმ ქალების, სექს-მუშაკი ქალების საჭიროებების და მათთან კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ.

ქალთა მიმართ ძალადობა ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და ჯანდაცვის სისტემის ადეკვატური ინფორმირებულობა და ჩართულობა აუცილებელია საკითხის რეგულირებისთვის და სწორი პასუხისათვის. აშკარაა, რომ სამედიცინო საზოგადოების ცოდნის ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობაზე და ექიმების როლზე, ძალადობის გამოვლენაში და სწორ რეაგირებაში, აუცილებელია. განსაკუთრებით მნიშნელოვანია, ამ საკითხის კარგად გაცნობიერება პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის, რადგან ოჯახის ექიმი ხშირად ჯანდაცვის სისტემასთან პირველი შეხების ადგილია მოქალაქეებისთვის და სწორედ ამ რგოლის გაძლიერება და განათლება შეიძლება ერთერთ მნიშნელოვან იარაღად მივიჩნიოთ, ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევაში და სწორ რეაგირებაში.

მნიშვნელოვანია, რომ უკვე არსებობს აკრედიტებული (#ო 430) ონლაინ სასწავლო მოდული, რომელიც 2023 წლის დასაწყისიდან ხელმისაწვდომია ექიმებისათვის თსსუ-ს ელექტრონული სასწავლო მოდულების პლატფორმაზე და არის უფასო.

პროტოკოლში ძირითადი ნაწილი ეთმობა კომუნიკაციას, სავარაუდო მსხვერპლთან, მათ შორის შშმ და ლგბტქ თემების წარმომადგენელ ქალებთან ურთიერთობის სპეციფიკას, საერთაშორის აქტებს და ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას. ექიმების უფლებები და ვალდებულებები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთან და/ან სავარაუდო მსხვერპლთან ურთიერთობისას, ცალსახადაა გაწერილი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.

პროტოკოლში მოცემული კლინიკური რეკომენდაციები ეფუძნება თანამედროვე მტკიცებულებებს და შეესაბამება ამერიკის მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის რეკომენდაციებს, გადაუდებელი კონტრაცეფციის ნაწილში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი“ დადებითად აფასებს წარმოდგენილ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტს „**ჯანდაცვის მომსახურებების გაწევა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობაზე დარგთშორისი რეაგირებისას“** და რეკომენდაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.09.25 13:54:49